ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2024 წლის 15 იანვარი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებში (www.matsne.gov.ge, 23/01/2018, 010250050.35.137.016370), კერძოდ:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**

დანართი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები.

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	**20**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	5460
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4130

		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3595
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2930
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2665
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	2130
2		**საკრებულოს აპარატი**	**10**	
	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	3059
	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	2394
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	1995
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1	1596
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	1596
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი წერილებისა და საქმისწარმოების საკითხებში	1	1596

	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებისა და ფრაქციების ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხებში	1	1596
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მოქალაქეთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	1596
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო-ანალიტიკურ საკითხებში	1	1596
	IV რანგი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში	1	1330
3		**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები**	**3**	
		სპეციალისტი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	1330
		საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	1330
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მძღოლი	1	1694